



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლონია ეთერ კონსტანტინეს ასული



ე. კოლონია

კოლონია ეთერ კონსტანტინეს ასული (5. XII. 1932, სოფ. კვიტოული, ახლანდ. ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, - 1. IV. 1993 სოხუმი), მსახიობი. აფხაზეთის (1982) და საქართველოში არტისტი (1983). 1956 დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგია-ფაკულტეტი. პარალელურად სწავლობდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკულტეტზე, რ-იც 1958 დაამთავრა. 1959- იდან სოხუმის ს. ჭანბას სახ. აფხაზური თეატრის მსახიობია, 1972-იდან - დ. გულიას ლიტ.-მემორიალური მუზეუმის დირექტორი. 1979 აირჩიეს აფხაზეთის თეატრ. საბჭოს თავრედ. სხვადასხვა დროს შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: სი-ფინი (ცაო-იუს „ტაიფუნი“), ევა (რ. ებრაელიძის „თანამედროვე ტრაგედია“), ფრაუ კაროლინა (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“), პატარძალი (ფ. გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“), გულთამზე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ნატალია (ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“) და სხვ. სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე განასახიერა ტურფა (ა. წერეთლის „პატარა კახი“).

კ-მ აფხაზურ ენაზე თარგმნა ნ. დუმბაძის მოთხრობები („მზე“, „სისხლი“), თ. ლანჩავას „სიბმრების გამყიდველი“ და სხვ. აფხ. თეატრის სცენაზე დადგა ნ. ტარბას „მზის ასული“. გადაღებულია ფილმში „ჩეგემური დეტექტივი“ (რეჟ. ა. სვეტლოვი, 1986).
